

PLACE OF MICROFINANCE ORGANIZATIONS IN THE LEGAL SYSTEM OF AZERBAIJAN, ALBANIA AND PORTUGAL, LEGAL ANALYSIS COMPARED TO THE GEORGIAN MODEL

Guram Macharashvili

PhD student at Faculty of Law at East European University

Email: guramgd41@gmail.com

ABSTRACT

The article deals with the legal status and place of the microfinance organization in the legal system of Georgia and the developing countries and several countries of the European Union (Azerbaijan, Albania and Portugal), their comparative legal analysis in this regard and showing the positive/strong and negative/weak sides of the Georgian reality.

The author pays special attention to the place of microfinance organizations in the legal systems of developing and EU member states, the peculiarities of their status origin and development, characterization on the basis of normative and functional, comparative legal methodology, revealing common and distinguishing features in comparison with microfinance organizations in the Georgian legal reality.

The article also focuses on the systematized and standardized legal regime in which microfinance organizations operate, compared to the less developed legal systems (Azerbaijan, Albania) where their functions and scope are weak and less effective.

On the basis of the comparative-legal methodology, the obvious distinguishing legal features, strengths and weaknesses, which distinguish the microfinance organizations of Azerbaijan, Albania, Portugal and Georgia, are shown.

KEYWORDS: Comparative, Financial, Status

„არაფერი ისე არ ამშვიდებს და ათრობს, როგორც ფული, როდესაც იგი ბევრია, სამყარო იმაზე უკეთესი ჩანს ვიდრე ის არის“
ანტონ ჩეხოვი

შესავალი

წინამდებარე სტატიის მიზანია მკითხველი გაეცნოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა და განვითარებული ქვეყნების სამართლის სისტემებში (აზერბაიჯანი, ალბანეთი და პორტუგალია). აღნიშნული თავისებურებების დახასიათება შესაძლებელია შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ჩვენი მიზანია ასევე ხსენებულ ქვეყნებსა და საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ურთიერთშედარების საფუძველზე გამოვავლინოთ ის დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი სამართლებრივი ნიშნები, რომლებიც ახასიათებთ ისეთ მნიშვნელოვან ფინანსურ ინსტიტუტებს, როგორიცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

კვლევის ობიექტის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის“ დახასიათებისას გამოყენებულ იქნება შედარებით სამართალმცოდნეობაში ცნობილი ე.წ. ფუნქციონალური, ინსტიტუციონალურ-აღწერითი და პრობლემურ-ანალიტიკური მეთოდები. შედარებით სამართალმცოდნეობაში მიღებული ფუნქციონალური მეთოდი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი წესები

და ცნებები არის განსხვავებული, თუმცა მათი ფუნქციიდან გამომდინარე, ისინი ერთ მსგავს ინსტიტუტამდე ან/და ცნებამდე დადის.¹ ფუნქციონალური შედარებით ხდება ერთი და იმავე საკითხებისა და პრობლემების შესწავლა ერთი სამართლებრივი ინსტიტუტის დახმარებით ან დოქტრინების, ან განსაზღვრებების კანონის „სხეულში“ განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტის ჩვენებით.² წინამდვილეში კი „ფუნქციონალიზმის“ ცნება გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობებით, ემსახურება რა სხვადასხვა მიზნებს: სამართლის გაგებას, შედარებას (tertium comparationis), სხვადასხვა მსგავსებებზე ორიენტორებას (praesumptio similitudinis), სისტემის შექმნისაკენ საუკეთესო სამართლის განსაზღვრას, სამართლის უნიფიცირებას და სამართლებრივი წესრიგის კრიტიკულ შეფასებას. ფუნქციონალური მეთოდი, როგორც წესი, გამოიყენება მიკროშედარების სტადიაზე. ხოლო უფრო ფართო გაგებით მასში გამოიყენება ასევე სტრუქტურული სამართლის ნორმების, როგორც ელემენტების, ანალიზი. ეს არის ზოგადი სურათი, რომელშიც დამკვირვებელი კონცენტრირებულია დასაკვირვებელი ფენომენის დაფარულ სტრუქტურებზე. ეს სტრუქტურები კი შეიძლება იყოს თავისუფალი მათ ურთიერთქმედებაში ან შეიძლება იყოს მათი კომბინაცია ცალკეული ელემენტების სახით, რომლებიც ქმნიან ერთიან სისტემას.³

რაც შეეხება ინსტიტუციონალურ-აღწერით მეთოდს, იგი მდგომარეობს სხვადასხვა ქვეყნებში მიკროსაფინანსო

1 Ван Хук, М., 2013. Сравнительное правоведение, методология сравнительного правоведения «методология сравнительно-правовых исследований». Журнал ПРАВОВЕДЕНИЕ, 3 (308), 33-127.

2 იქვე. 33-127-128.

3 Ван Хук, М., 2013. Сравнительное правоведение, методология сравнительного правоведения «методология сравнительно-правовых исследований». Журнал ПРАВОВЕДЕНИЕ, 3, 33-127-128.

ორგანიზაციის, როგორც ფინანსური ინსტიტუტის თავისებურებების აღწერაში. ამასთან აღწერა-დახასიათება შეიძლება შემოიფარგლოს როგორც ნორმატიული შედარებით მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დონეზე, ასევე სამართლის წყაროების და მათი პრაქტიკული გამოყენების დონეზე.⁴ ხოლო კვლევის პრობლემური ანალიტიკური მეთოდი გულისხმობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ურთიერთდაპირისპირებას და მათი ზემოხსენებულ ქვეყნებში გამოყენების პრაქტიკის ჩვენებას. ხსენებული მეთოდი საშუალებას იძლევა აღიწეროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის როგორც ფინანსური ინსტიტუტის თეორიული განსაზღვრა, ასევე პრაქტიკული მოქმედების საკითხები. ამასთან ანალიტიკური მეთოდით შესაძლებელია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კომპლექსური შესწავლა სხვადასხვა განვითარების დონის მქონე ქვეყნების სამართლის სისტემებში, რათა გამოვლინდეს საერთო/მსგავსი და განმასხვავებელი სამართლებრივი ნიშნები (რეგისტრაცია, ლიკვიდაცია, რეგულირების მეთოდი, კაპიტალი და ა.შ).⁵

რაც შეეხება უშუალოდ შედარებით-სამართლებრივი ანალიზის პროცედურას, იგი პირობითად შეიძლება დავყოთ შემდეგ ეტაპებად: შედარების კრიტერიუმების შემუშავება და მათ საფუძველზე მსგავსებებისა და განსხვავებების ამსახველი სამართლის ნორმების აღწერა, შედარებითი ანალიზი, შედარების შედეგად მიღებული შედეგების შეფასება, შედარებითი კვლევის შედეგების აღწერა.⁶

სტატიაში ყოველი ქვეყნის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი განხილულია კვლევის შემდეგი ელემენტების გამოყენებით:

- ნორმატიული ბაზის, მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დახასიათებით;
- რეგისტრაციის პირობებისა და წესების აღწერით;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტრუქტურის, მართვის ორგანიზაციის ზოგადი დახასიათებით;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესისა და პირობების აღწერით;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, როგორც სამართლებრივი ფინანსური ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი მსგავსი და განმასხვავებელი, სუსტი და ძლიერი მხარეების დახასიათებით.

ცხადია, სტატიის ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დახასიათებისას მისთვის დამახასიათებელი ყველა თეორიული და პრაქტიკული სამართლებრივი ნიშნების ჩვენება, მისი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, ნორმატიული ელემენტების დახასიათება.

ამიტომ ჩვენ მიერ განხილულია მხოლოდ ის აუცილებელი საკითხები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისთვის დამახასიათებელი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, მათი საქმიანობის სამართლებრივი მოწესრი-

4 Лушников, А. М., 2015. История методологии юридической науки. Яргу, Ярославль: გვ. 68.

5 Ван Хук, М., 2013. Сравнительное правоведение, методология сравнительного правоведения «методология сравнительно-правовых исследований». Журнал ПРАВОВЕДЕНИЕ, 3 (308), გვ. 146.

6 Сырых, В. М., 2018. История и методология юридической науки. Учебник. Норма: ИН-ФРАМ, 464, გვ. 339.

გების კუთხით არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი აზერბაიჯანში

„ადამიანები ძალიან განხვავდებიან ერთმანეთისაგან, აქედან გამომდინარე, თუ მათ ერთნაირად მოვექცევით, შედეგად აუცილებლად მივიღებთ უთანასწორობას მათ რეალურ მდგომარეობებს შორის და ყველას ერთნაირ მდგომარეობაში ჩაყენების ერთადერთი საშუალება მათთან განსხვავებული მოპყრობაა. ამის შედეგად თანასწორობა კანონის წინაშე და მატერიალური თანასწორობა არა მხოლოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ ერთმანეთის საპირისპიროც არის, ასე რომ, შეგვიძლია მივაღწიოთ ან ერთს, ან მეორეს, მაგრამ არა ორივეს ერთდროულად.“⁷ ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი

აზერბაიჯანმა, როგორც პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობის მქონე ქვეყანამ, საფინანსო სფეროში რადიკალური რეფორმები დაიწყო 2004 წლიდან, როდესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ალიევმა მიიღო ბრძანებულება რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. სწორედ ამ პერიოდისაა იწყება აზერბაიჯანის საფინანსო სისტემაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის ფორმირება. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანს გააჩნია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების განსხვავებული ისტორია. თავდაპირველად მიკროსაფინანსო სერვისების მიმწოდებელ ინსტიტუტებს

შორის იყვნენ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები, კომერციული ბანკები, სახელმწიფო განვითარების ბანკი, ფინანსური კოოპერატივები და სხვა არასაბანკო დაწესებულებები. თავიდანვე აზერბაიჯანისთვის მიკროდაფინანსება მნიშვნელოვანი იყო სიღარიბესთან ბრძოლისა და დაძლევის კუთხით. მიკროდაფინანსება იყო ლტოლვილთა და იძულებით მიგრანტთა ცხოვრების დონის გაზრდის ძირითადი საშუალება. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში 1996 წლიდან 13 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მხრიდან გაიცა 30 მილიონი დოლარის ოდენობის მიკროკრედიტი. აღნიშნული კი ძირითადად განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციების (FINKA, Norcredit, World Vision და ა.შ.) მიკროსესხების სახით.

აზერბაიჯანის სამართლის სისტემაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობის განმსაზღვრელ ფაქტორებად პირობითად შეიძლება დასახელდეს:

- მიკროსაფინანსოების ასოციაციური კავშირი საბანკო საქმიანობასთან და საბანკო საქმიანობას შორის მკაფიო ნორმატიული განსხვავებების დანერგვის აუცილებლობა.
- საბანკო კანონმდებლობის ზოგადი გამიჯვნა მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ნორმატიული საფუძვლებისაგან;
- მიკროსაფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ანგარიშგების და შედამხედველობის პროცედურის დამკვიდრების აუცილებლობა.

აზერბაიჯანში საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ 2006 წლიდან მოქმედებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი

7 ფონ ჰაიეკი, ფ. ა., 2021. თავისუფლების კონსტიტუცია. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი: გვ. 143.

სი არასისტემატიზირებული და არაპრუდენციული ზედამხედველობის ფორმით ჩამოყალიბდა მხოლოდ 2009 წელს, როდესაც 2009 წლის 25 დეკემბერს მიღებული იქნა აზერბაიჯანის №933-IIIQ კანონი „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“.⁸ 2009 წლიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე არაპრუდენციულ ზედამხედველობას ახორციელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის პალატა.

დღეის მდგომარეობით კი – აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის მონაცემებით – არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების, მათ შორის მიკროსაფინანსო რეგისტრირებული ორგანიზაციების რაოდენობა შეადგენს 56-ს.⁹

აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს ხსენებული კანონის გარდა განსაზღვრავს აზერბაიჯანის „სამოქალაქო კოდექსი“, 2017 წლის 02 მაისის კანონი – „მოდრავი ქონების გირავნობის უფლებით დატვირთვის შესახებ“, 2015 წლის 15 აპრილის კანონი „იპოთეკის შესახებ“, 2003 წლის 12 დეკემბრის №560-IIIQ კანონი „იურიდიული პირების სახელმწიფო რეგისტრაციისა და სახელმწიფო რეესტრის შესახებ“. ხოლო უშუალოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, როგორც საკრედიტო და ფინანსური ინსტიტუტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები მიღებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის პალატის მიერ, კერძოდ:

- პალატის 2017 წლის 07 ივლისის N14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „არასაბანკო საკრედიტო და-

წესებულებების საქმიანობის პრუდენციული რეგულირების წესები;“

- პალატის 2017 წლის 07 სექტემბრის N13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ სესხის გაცემისა და ფილიალის გახსნის ლიცენზიის, ნებართვის გაცემის წესები.“

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირებისას გადასახდელი მოსაკრებლების საკითხი კი განსაზღვრულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2002 წლის 02 სექტემბრის №782 ბრძანებულებით დამტკიცებული „გარკვეული სახის სპეციალური ნებართვების (ლიცენზიების) გაცემის წესის დახვეწის შესახებ“. ამდენად, ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი კანონები და ნორმატიული აქტები წარმოადგენს იმ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის წარმართვა.

აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას ახდენს 2009 წლის 25 დეკემბერს მიღებული № 933-IIIQ კანონის „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ 1-ლი მუხლის 1.0.1.-ე პუნქტი, რომლითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ესაა: „არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება (შემდგომში ყველგან, როგორც ასსდ) და სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულება, რომელიც სპეციალური ხელშეკრულების (ლიცენზიის) საფუძველზე ახორციელებს სასესხო და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საქმიანობას“. მიკროსაფინანსო ორ-

8 აზერბაიჯანის კანონი არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://cis-legislation.com/document.fwx?rgn=30660>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

9 იხ. აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების რეესტრი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cbar.az/page-196/non-bank-credit-institutions>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

განიზაცის, როგორც დამოუკიდებელი არაპრუდენციული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტის, სამართლებრივ სტატუსს ეხება ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლი, რომლითაც „არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება თავის საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში“ (მე-3 მულის 1-ლი პუნქტი). ამასთან ასევე, გარდა ამ კანონით განთვალისწინებული შემთხვევებისა, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამოუკიდებელია საჯარო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან და ამ ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ ჩაერიონ მის მიმდინარე საქმიანობაში (კანონის მე-3 მუხლის 3.2. პუნქტი). აზერბაიჯანის არასაბანკო საკრედიტო დაწესებულების, იგივე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსის დასტურია ისიც, რომ კანონი პირდაპირ უთითებს იმაზეც, რომ „მის მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, ასევე საკომისიოს და მომსახურების საკომისიოს ოდენობა, ამ კანონის შესაბამისად გაწეული ფინანსური მომსახურება განისაზღვრება ასევე-სა და მსესხებელს (მომსახურების მომხმარებელს) შორის დადებული ხელშეკრულებით“ (ხსენებული კანონის მე-3 მუხლის 3.4. პუნქტი).

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც დამოუკიდებელი ფინანსური სუბიექტის დამოუკიდებლობის ხარისხს ზრდის ამავე კანონის მე-4 მუხლიც, რომლითაც მათ შეუძლიათ შექმნან გაერთიანებები და ასოციაციები, როგორც მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, ასევე ერთობლივად მათი საერთო ინტერესების წარმომადგენლობისა და დაცვისათვის. თუმცა მას არ აქვს უფლება გამოიყენოს გაერთიანებები და ასოციაციები ხელშეკრულებების დასადავად, რომლებიც მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას და

ბაზრის მონოპოლიზაციას, შეთანხმებული ოპერაციების განხორციელებას, მათ შორის საპროცენტო განაკვეთების დაწესებას (კანონის მე-4 მუხლი).

რაც შეეხება ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, რომლის დაცვითაც უნდა შეიქმნას მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ხსენებული კანონის მე-5 მუხლით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ან/და უცხოური ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციები არაკომერციული ფორმით შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ფონდის სახით.

ფრიად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კანონის მე-5 მუხლის 5.2. პუნქტი არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს ჰყოფს ორ სამართლებრივ კატეგორიად, ორ ტიპად: საკრედიტო ინსტიტუტებად, რომელთაც აქვთ სესხის უზრუნველყოფის მიღების უფლება და საკრედიტო ინსტიტუტებად, რომლებსაც ასეთი უფლება არ გააჩნიათ.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების კუთხით აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იურიდიულ პირებს კომერციული და არაკომერციული მიზნების მიღწევის მხრივ. ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმეტესობა აზერბაიჯანში რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობისა და ღია სააქციო საზოგადოებების სახით. თუმცა ხსენებული კანონის მე-5 მუხლის მე-5.1 პუნქტი დაინტერესებულ პირებს უფლებას აძლევს ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შექმნას კოოპერატივისა და არასამეწარმეო ფონდის სახით.

აზერბაიჯანში ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შექმნის აუცილებელ წინა-

პირობას წარმოადგენს მისი საწესდებო კაპიტალიც. აზერბაიჯანის კანონის „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ მე-7 მუხლი პირდაპირ იმპერატიულად განსაზღვრავს მოთხოვნას, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ უფლებამოსილი (საწესდებო) კაპიტალის მინიმალური ოდენობა, შევსებული დამფუძნებლების ქონებრივი შენატანებით და იგი უნდა ჩამოყალიბდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნულ ვალუტაში. ხოლო უშუალოდ მის აუცილებელ ოდენობას განსაზღვრავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის პალატის 2017 წლის 07 ივლისის N14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის პროდენციული რეგულირების წესების“ მე-4 მუხლი,¹⁰ რომლითაც კომერციულ იურიდიულ პირად დაარსებულისათვის (შპს, სს, კოოპერატივი) მათ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილი (საწესდებო) კაპიტალი – 300 (სამასი) ათასი აზერბაიჯანული მანათი, ხოლო არაკომერციული იურიდიული პირის (ფონდის) სახით შექმნილისთვის – დაწესებულია 30 (ოცდაათი) ათასი აზერბაიჯანული მანათი. ამასთან ხსენებული კაპიტალი არ უნდა შემცირდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის პერიოდში და იგი ფულადი სახით უნდა იყოს შევსებული, მხოლოდ აზერბაიჯანული მანათის სახით.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგა-

ნიზაციების რეგისტრაციის სამართლებრივ პროცედურას, იგი განსაზღვრულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის პალატის 2017 წლის 07 სექტემბრის N13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ სესხის გაცემისა და ფილიალის გახსნის ლიცენზიის, ნებართვის გაცემის წესებით“.¹¹

ლიცენზიის მისაღებად, მიუხედავად მისი ტიპისა, დაინტერესებული განმცხადებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პალატას წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

– დამფუძნებლის (დამფუძნებლების) განცხადება, იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციისა და წესდების შესახებ დოკუმენტები, ინფორმაცია იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, ინფორმაციას და დოკუმენტებს იურიდიული პირის ადმინისტრატორების პროფესიული ვარგისიანობის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, ინფორმაცია და დოკუმენტები იურიდიული პირის დაფინანსების წყაროების, ასევე საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის (ტერიტორიული დაფარვა, სესხის გამცემი სუბიექტები, სესხის გაცემის პირობები, საპროცენტო განაკვეთები) იურიდიული პირის ადმინისტრატორების სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალები, ლიცენზიის მისაღებად სახელმწი-

10 Решение палаты контроля за финансовыми рынками Азербайджанской республики 07.07.2017-г. Решение N 14 «Об утверждении «Правил пруденциального регулирования деятельности небанковских кредитных организаций» иб. აზერბაიჯანის საკანონმდებლო აქტები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://e-qanun.az/framework/36316> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

11 Решение палаты контроля за финансовыми рынками Азербайджанской республики 07.07.2017-г. Решение N 13 „Об утверждении «Правил подачи заявления на получение лицензии на выдачу кредитов небанковскими кредитными организациями и разрешения на открытие филиала» иб. აზერბაიჯანის საკანონმდებლო აქტები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://e-qanun.az/framework/36321> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

ფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.*

უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად მსგავსი თუ არა, იდენტური მოთხოვნებია ფიქსირებული კანონის „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ მე-11 მუხლში. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის პალატა ლიცენზიისა და ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას გადასცემს განმცხადებელს ან უგზავნის რეგისტრირებული ფოსტით ორი სამუშაო დღის ვადაში.

ფრიად საყურადღებოა ის აუცილებელი ნორმატიული მოთხოვნებიც, რომლებიც აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ორგანიზაციულ სტრუქტურის მიმართაა დაწესებული.

კერძოდ, კანონის „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ მე-8 მუხლით მისი ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

- ხელმძღვანელს (დირექტორი, კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი);
- ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის უფროსს (მთავარი ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი);
- საკრედიტო ინსპექტორს და შიდა ბუღალტერს/რევიზორს/აუდიტორს.

ამავე მუხლით ადმინისტრატორებს უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტის ხარისხი და მინიმუმ ერთ წლიანი სამუშაო გამოცდილება, ხოლო ბუღალტრული სამსახურის უფროსს უნდა ჰქონდეს უმაღლესი ეკონომიკური განათლება და სამუშაო გამოცდილება შესაბამის სპეციალობაში, რომელიც არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები.

ამასთან პირები, რომლებიც დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები იყვნენ,

მათ კანონის შესაბამისად ეკრძალებათ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი პოზიციის დაკავება.

აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შინაარსობრივ მხარეს აკონკრეტებს იმ სფეროებისა და კონკრეტული საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც გაცილებით მცირეა, ვიდრე ეს ჩვენ საქართველოს შემთხვევაში გვხვდება.

კანონის „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ მე-15 მუხლით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შესაბამისი ლიცენზიის მიღების შემთხვევაში უფლებამოსილნი არიან განახორციელონ შემდეგი სახის საქმიანობა:

- გასცენ უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონებით;
- მიიღონ საგარანტიო დეპოზიტი, გასცენ გარანტია, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახით;
- განახორციელონ სავალო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვა (ფაქტორინგი, ფორვეტირება);
- გასცენ ლიზინგით ქონება;
- განახორციელონ ჩეკით გადახდები;
- გასწიონ სადაზღვევო აგენტის მომსახურება;
- განახორციელონ მსესხებლებისთვის ფინანსური, ტექნიკური მართვის საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მათ შორის ერთობლივად მსესხებელთა ჯგუფების ჩათვლით, თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონის ამავე მუხლით (პუნქტი 15.4.) ეკრძა-

* სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2002 წლის 02 სექტემბრის №782 ბრძანებულებით დამტკიცებული „გარკვეული სახის სპეციალური ნებართვების (ლიცენზიების) გაცემის წესის დახვეწის შესახებ“, რომელიც შეადგენს 1100 აზერბაიჯანულ მანათს.

ლებათ იურიდიული და ფიზიკური პირებისგან ღებოზიტების მოზიდვა. აღნიშნული შეზღუდვა დამახასიათებელია ქართული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვისაც.

აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ განხორციელებადი ძირითადი საქმიანობა – მიკროსესხების გაცემა ხდება მხოლოდ მინიმალური ნორმატიული სტანდარტის დაცვით. აღნიშნულში ვგულისხმობთ იმას, რომ სესხების გაცემისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის მხრივ კანონის მხოლოდ ერთი მუხლი განსაზღვრავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებსაც სესხის ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს.

კერძოდ, კანონის „არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების შესახებ“ მე-17 მუხლით საკრედიტო ხელშეკრულებით უნდა მოხდეს კრედიტის გაცემის გამჭვირვალობა და მსესხებლების სრული ინფორმირება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ საკრედიტო ხელშეკრულებაში უნდა აისახოს შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია და მოთხოვნები: მხარეთა სახელები და იურიდიული მისამართები, კრედიტის დანიშნულება, სესხის თანხის ოდენობა, სესხის დაფარვის ვადა, კრედიტის დაფარვის მეთოდი, უზრუნველყოფის ფორმა (თუ უზრუნველყოფილია კრედიტი), სესხზე დასარიცხი პროცენტის ოდენობა, წლიური საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით (წლიური საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს მითითებული სესხის დაფარვის ვადის მიუხედავად), თუ სესხი გადასახდელია თანაბარი ყოველთვიური გადასახდელებით, სესხის დავალიანება (ძირითადი დავალიანება და პროცენტი), ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გადაიხდება საშუალოდ კრედიტით სარგებლობის პერიოდისთვის, მხარეთა პასუხისმგებლობის ზომები.

აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორ-

განიზაციებზე შედამხედველ ორგანოს ხსენებული კანონის 24-ე მუხლით წარმოადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის შედამხედველობის პალატა. აღნიშნული მუხლით ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია მას წარუდგინოს ანგარიშები საქმიანობის შესახებ, დადგენილი ფორმითა და შინაარსით, ყოველი საანგარიშო კვარტალის ბოლოს დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

სწორედ ხსენებული პალატა ამოწმებს ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას აზერბაიჯანში „მეწარმეთა შემოწმების ჩატარების რეგულირებისა და მეწარმეთა ინტერესების დაცვის შესახებ“ აზერბაიჯანის კანონის საფუძველზე.

საკმაოდ იმპერატიული, თუმცა არასისტემური სახითაა განსაზღვრული აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის გაუქმების წესი. ხსენებულ საკითხს აწესრიგებს კანონის 25-ე მუხლი, რომლითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული ლიცენზიები და ნებართვები შეიძლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფინანსური ბაზრის შედამხედველობის პალატის მიერ გაუქმდეს სხვადასხვა მიზეზის არსებობისას, რომელთაგანაც აღსანიშნავია შემდეგი მიზეზები:

- თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ლიცენზიის ან ნებართვის მისაღებად მოწოდებული ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდება;
- თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა ან მისი ფილიალი არ დაიწყებს საქმიანობას ლიცენზიის ძალაში შესვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მხრიდან ადგილი აქვს მინიჭებული ლიცენზიის დაშვებული საქმიანობის გარდა სხვა აკრძალული საქმიანობის განხორციელებას.

მცირე დასავსების სახით აღვნიშნავთ, რომ აზერბაიჯანის საკანონმდებლო და ფინანსურ სისტემაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი არასისტემური და ფუნქციების კუთხით ასევე არასპეციალიზირებულია.

აზერბაიჯანში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის დადგენილი მოქმედებისა და ფუნქციონირების ის ნორმატიული ჩარჩო, ქართული რეალობისაგან განსხვავებით, გამოირჩევა არასაკმარისი დეტალიზირებითა და განსაკუთრებით დაკრედიტების სუბიექტების – მომხმარებლების/ფიზიკური პირების უფლებრივ ჭრილში სუსტი სტანდარტებით.

ვფიქრობთ, აზერბაიჯანის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატივები და საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ალბანეთის და განსაკუთრებით პორტუგალიის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი განვითარების დონეს, რომელთა განხილვასაც სტატიის შემდეგ ნაწილში შევეცდებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი ალბანეთში

„სახელმწიფო არ უნდა შემოიფარგლოს ყველასათვის თანაბარი პირობების მიცემით, უნდა ესწრაფოდეს ყველა იმ პირობის გაკონტროლებას, რომელსაც შეხება აქვს ინდივიდის პერსპექტივებთან და, ინდივიდის უნარებიდან გამომდინარე, იმგვარად მოახდინოს მათი კორექტირება, რომ ინდივიდს გარანტირებულად ჰქონდეს იგივე პერსპექტივები, როგორც ყველ დანარჩენს“.¹²
ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი

ალბანეთი 2014 წლიდან წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მქონე ქვეყანას. ესაა ქვეყანა, რომელიც არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის, არამედ გეოგრაფიულად ტერიტორიის მოცულობითაც ახლოს დგას საქართველოსთან. იგი თითქმის 70% ინტეგრირებულია ევროკავშირის სამართლის სისტემაში იმ რეფორმებით, რომლებიც განახორციელა საბანკო და საფინანსო სექტორში, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსისა და საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტების ამოქმედების კუთხით.

2014 წლის მონაცემებით ალბანეთის მოსახლეობის 38% ინტეგრირებულია საბანკო საფინანსო სფეროში.¹³ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ალბანეთში მიკროდაკრედიტების მხრივ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა აქტიურ

12 ფონ ჰაიეკი, ფ. ა., 2021. თავისუფლების კონსტიტუცია. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 150.

13 ალბანეთის მიკროსაფინანსო სექტორის შესახებ კვლევა. იხ. Albania Research Project on Microfinance Sector Development The Final Report December 2016 Japan International Cooperation Agency Positive Planet Japan. გვ. 7. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://openjicareport.jica.go.jp/pdf/12286316.pdf>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

სუბიექტებს წარმოადგენს შემნახველი და საკრედიტო ასოციაციები (SCAS).¹⁴ მიკროკრედიტები შეადგენს ალბანეთის მთლიანი დაკრედიტების 20%-ს და ალბანეთის ეროვნული ბანკის მონაცემებით სწორედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ ამ კუთხით დაკრედიტების საუკეთესო კოეფიციენტი.¹⁵

მიკროსაფინანსო საქმიანობის პირველადი სახეები ალბანეთში ჩაისახა ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიწყო ღონიერების მხარდაჭერით მიკროდაკრედიტების ცალკეული სამთავრობო პროგრამების ფუნქციონირება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. დღეის მდგომარეობით კი ალბანეთში მიკროდაფინანსებით სარგებლობს ქვეყნის მოსახლეობის 2.4%-ზე მეტი და მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის 80%-ზე მეტს. ალბანეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების პირველი ნაბიჯები გადაიდგა 1998 წელს, როდესაც მცდელობა იყო შემუშავებულიყო მსოფლიო ბანკის პროექტისთვის შესაფერისი საკანონმდებლო ბაზა.

სანამ უშუალოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები სამართლებრივი სტატუსის დახასიათებაზე გადავალთ, უპრიანია განიმარტოს, თუ რას თვლის მიკროკრედიტად ალბანეთის მოქმედი კანონმდებლობა. ასეთად კი ალბანეთის ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 17 იანვრის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და ლიცენზირების რეგლამენტის“ მე-4 მუხლი მე-2 პუნქტით მიკროსესხად მიიჩნევა სესხი,

რომელიც არ აღემატება 600 000 (ექვსასი ათასი) ალბანურ ლეკს, რაც შეადგენს 6 000 აშშ დოლარს.¹⁶

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ძირითად ნორმატიულ აქტად უნდა მივიჩნიოთ ალბანეთის ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 17 იანვრის N01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და ლიცენზირების რეგლამენტი.“ აღნიშნული ნორმატიული აქტი წარმოადგენს პრუდენციული ზედამხედველობის მექანიზმების შემცველ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ალბანეთის ეროვნული ბანკი ახდენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიცენზირებას და საქმიანობაზე პრუდენციული ზედამხედველობის განხორციელებას.

ხსენებული მარეგულირებელი ჩარჩო, ადაპტირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მარეგულირებელ მოთხოვნებთან. იგი მიჩნეულია ერთგვარ გამოსავლად ამ ინსტიტუტების პრუდენციული რეგულირებისთვის, რომლებიც არ იღებენ და არ ახდენენ დეპოზიტების მობილიზებას მოსახლეობისაგან, პირიქით, მისი მფლობელები საკუთარი რისკის სანაცვლოდ წარმართავენ საქმიანობას.

ხსენებული რეგლამენტით ალბანეთში არასაბანკო ფინანსური ორგანიზაცია წარმოადგენს იმავე მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომლის ლიცენზირებას და მიმდინარე საქმიანობაზე პრუდენციულ ზედამხედველობას ახორციელებს ალ-

14 იქვე. გვ. 9-10.

15 იქვე. გვ. 10-11.

16 Republic Of Albania Bank Of Albania Supervisory Council Decision No 01, Dated 17. 01. 2013 On The Approval Of Regulation "On Licensing And Activity Of Non-Bank Financial Institutions." [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bankofalbania.org/rc/doc/No_01_dt_17_01_2013_Regulation_on_licensing_and_activity_of_NBFI_6135.pdf/> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

ბანეთის ეროვნული ბანკი. 2013 წლის 17 იანვრის N01 რეგლამენტის მე-5 მუხლით ალბანეთის ეროვნული ბანკი წარმოადგენს ერთადერთ კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც ახორციელებს ლიზენციების გაცემას არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებზე – მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. ლიცენზია ხსენებული მუხლით გაიცემა ერთ ან რამდენიმე შემდეგი საქმიანობის სახეზე: ყველა სახის სესხების გაცემაზე (უზრუნველყოფით და უზრუნველყოფის გარეშე), ფაქტორინგით მომსახურებაზე, ლიზინგის გაცემაზე, გარანტიების გაზემაზე, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე, საკრედიტო-საფინანსო მომსახურების გაწევისას საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური მომსახურების გაწევისთვის.

ისევე, როგორც საქართველოს შემთხვევაში, ალბანეთის ხსენებული კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კაპიტალისადმი დაწესებულ სავალდებულო მოთხოვნებს. კერძოდ, იმისათვის, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მიიღოს ალბანეთის ეროვნული ბანკისაგან შესაბამისი ლიზენცია, მას საქმიანობის სახეების მიხედვით უნდა გააჩნდეს შემდეგი ოდენობის შევსებული საწესდებო კაპიტალი:

- ა) ყველა სახის კრედიტების გაცემისათვის – 100 000 000 (ასი მილიონი) ალბანური ლეკი;
- ბ) ფაქტორინგი – 20 000 000 (ოცი მილიონი) ალბანური ლეკი;
- გ) ლიზინგი – 20 000 000 (ოცი მილიონი) ალბანური ლეკი;
- დ) გარანტიების გაცემა – 20 000 000 (ოცი მილიონი) ალბანური ლეკი;
- ე) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა – 1 500 000 (მილიონ ხუთასი ათასი) ალბანური ლეკი;
- ვ) საკრედიტო-საფინანსო მომსახურების გაწევისას საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური

მომსახურების გაწევა – 10 000 000 (ათი მილიონი) ალბანური ლეკი;

ზ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ზემოხსენებული პუნქტებიდან ა პუნქტის გამოკლებით განსაზღვრული ყველა სახის საქმიანობისთვის – 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ალბანური ლეკი.

რაც შეეხება თავად ლიცენზიას, იგი ამავე რეგლამენტის მე-7 მუხლით გაიცემა უვადოდ და დაუშვებელია მისი გადაცემა ან/და გაჩუქება. იგი უნდა შეიცავდეს ლიცენზიის მფლობელის დასახელებას, ნომერს და გაცემის თარიღს, ასევე ფინანსური საქმიანობის იმ სახეს, რომელზეც იგია გაცემული. ლიცენზია ტექსტში ასევე მოიცავს დასახელებას „მიკროსაფინანსო ფინანსური ორგანიზაცია“ (იხ. ხსენებული რეგლამენტის მე-7 მუხლი).

საკმაოდ სისტემატიზირებული სახე გააჩნიათ იმ სამართლებრივ პროცედურებსაც, რომლის დაცვითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეაქვთ განაცხადი ალბანეთის ეროვნულ ბანკში არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციის ლიცენზიის მისაღებად.

„არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და ლიცენზირების რეგლამენტი“-ს მე-8 მუხლით დაინტერესებული იურიდიული პირის დამფუძნებლის მიერ წარსადგენ დოკუმენტებიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი დოკუმენტების წარდგენის აუცილებლობა:

- ცნობა გაცემული ალბანეთის ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ნებისმიერი ბანკისაგან, რომელიც ადასტურებს, რომ იურიდიული პირის კაპიტალი განთავსებულია-დაბლოკილია მის საბანკო ანგარიშზე და განბლოკილი იქნება მის მიერ ლიცენზიის ბანკში წარდგენისთანავე;
- ალბანეთის კომპეტენტური ორგანოების გაცემული ცნობა ფისკალური ვალდებულებების შესრულების

შესახებ (ცნობა საგადასახადო ვალდებულებების არარსებობის შესახებ);

- იურიდიული პირის ადმინისტრატორებზე: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ხელმოწერილი რეზიუმე, უმაღლესი განათლების დიპლომი და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მინიმუმ ერთი სარეკომენდაციო წერილი წინა დამსაქმებლებისგან, ფისკალური ვალდებულებების შესრულების პირადი დეკლარაცია;*
- რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და პროცედურები, რომლებიც უკავშირდება ფულის გათეთრების ან/და ტერორისტული დაფინანსების რისკის გამოვლენასა და მართვას;
- იურიდიული პირის ფინანსური მდგომარეობის პროგნოზი მისი პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში საქმიანობა ლიცენზირების შემდეგ, ფინანსური ანგარიშგებებით;
- იურიდიული პირის დაფინანსების წყაროები და აქტივების სტრუქტურა პირველი 3 (სამი) წლის განმავლობაში, აღწერა იმ საქმიანობის, რომელსაც იურიდიული პირი გააგრძელებს ლიცენზირების მიღების შემდეგ;
- IT სისტემების ექსპლუატაცია-ადმინისტრირების, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ამსახველი დოკუმენტაცია, ინფორმაციისა და მომხმარებლის დაცვის/უსაფრთხოების მეთოდოლოგიის ჩათვლით.

ზემოთ ხსენებული რეგლამენტით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაინტერესებული იურიდიული პირის ადმინისტრატორების კვალიფიკაციასა და შესაბამისობის გადამოწმებასა და დადგენას, რასაც ახროციელებს ალბანეთის ეროვნული ბანკის შესაბამისი სამსახური.

კერძოდ, რეგლამენტის მე-9 მუხლით იმისათვის, რომ დაინტერესებული იურიდიული პირის ადმინისტრატორები დაინიშნონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ღირეექტორებად (ორგანიზაციის მიენიჭოს მირკოსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და გაიცეს მასზე შესაბამისი ლიცენზია), ასეთ ადმინისტრატორებად კი მიჩნეულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, გამგეობის (ღირეექტორატი) წევრები, აუდიტის კომიტეტის წევრები, რისკის კომიტეტის წევრები, ყველა ისინი მინიმუმ უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგი კრიტერიუმებიდან ყურადსაღებ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 5 (ხუთი) წლის პროფესიული გამოცდილება, აქედან 3 წელი საბანკო და/ან ფინანსურ სექტორში, ან სხვა დაკავშირებულ სფეროში, რომელსაც ალბანეთის ბანკი მიზანშეწონილად მიიჩნევს;

ბ) უნდა გააჩნდეთ კარგი ეთიკური და პროფესიული რეპუტაცია;

დ) არ უნდა იყვნენ რომელიმე საწარმოს გაკოტრების გამო ეკონომიკურ აქტივობაში შემჩნეულნი;

ე) არ უნდა იმყოფებოდნენ გამოძიების პროცესში და მათზე არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლის სამართლებრივი დევნა;

ვ) არ უნდა ექვემდებარებოდნენ გადახდისუუნარობის ან გაკოტრების საქმის წარმოებას და გათავისუფლებულნი უნდა

* იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრატორად შემოთავაზებული ფიზიკური პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილ იქნას პირის ბინადრობის ნებართვაც.

იყვნენ არალიკვიდირებული ვალდებულებებისგან;

ზ) არ უნდა იყვნენ ნასამართლები და ნაშაულისთვის, რომელიც განსაზღვრულია ალბანეთის კანონის „კომერციული ბანკების შესახებ“ დარღვევისთვის.

რაც შეეხება თვით ლიცენზიის გაცემის სამართლებრივ კრიტერიუმებს, მე-10 მუხლით ამ კრიტერიუმებიდან სხვა სტანდარტულ კრიტერიუმებთან ერთად აღსანიშნავია ისეთი კრიტერიუმის არსებობა, როგორცაა კომპანიის შიდა პოლიტიკა და პროცედურები ფულის გათეთრების პრევენციისა და ტერორიზმის დაფინანსების გათვალისწინებით, სისტემაში გამოვლენილი რისკები ფულის გათეთრებისა და ტერორისტული დაფინანსების რისკის მართვის მხრივ ადეკვატურია.

ხსენებული კრიტერიუმები საკმაოდ ვრცელია და მნიშვნელოვნად აღემატება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია ქართულ რეალობაში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლით (სარეგისტრაციო მოთხოვნები).

ალბანეთის შემთხვევაში ხსენებული კრიტერიუმები გაცილებით მოცულობითი, დეტალიზირებული და პროფილურია, ვიდრე ამას ჩვენ საქართველოს ეროვნული ბანკის დამტკიცებულ წესში ვხედავთ.

ალბანეთის ეროვნული ბანკი რეგლამენტის მე-11 მუხლით იხილავს ხსენებულ დოკუმენტებს და 3 თვის ვადაში იძლევა დადებით დასკვნას ლიცენზიის გაცემაზე ან ეუბნება დაინტერესებულ პირს დასაბუთებულ უარს. ამასთან თვით განაცხადების განხილვაში დაინტერესებულმა პირმა უნდა გადაიხადოს რეგ-

ლამენტის მე-13 მუხლით განსაზღვრული მოსაკრებელი 30 000 ალბანური ლეკის სახით. აღნიშნული მოსაკრებელი ქართულ რეალობაში კი საქართველოს კანონის „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ მე-7 მუხლით შეადგენს 50 000 ლარს.

ფრიად საინტერესოა ალბანეთის ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის უკვე მინიჭებული ლიცენზიის შეჩერებისა და გაუქმების წესიც.

ხსენებული რეგლამენტის მე-14 მუხლით ალბანეთის ეროვნულ ბანკს შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციის ლიცენზია, სხვა სტანდარტული შემთხვევების გარდა, მაშინ, როდესაც არსებობს კომპანიის დამაარსებლების, ადმინისტრატორების ჩართულობის სანდო მტკიცებულება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პროცესში ან დაწესებულება არ იწყებს საქმიანობას ლიცენზიის მიღების დღიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, დაწესებულებამ შეწყვიტა არსებობა, როგორც იურიდიულმა პირმა;¹⁷

ამასთან ალბანეთის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ლიცენზიის გაუქმების ან შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტის წერილობით, შესაბამისი მიზეზების მითითებით.

ალბანეთის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც, რომელიც მას ახასიათებს. ესაა მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში მისი, როგორც იურიდიული პირის, როგორც ორგანიზაციისა და გაყოფა-შერწყმაზე დადგენილი სისტემატიზირებული სახის სამართლის ნორმები განსაზღვრული ხსენებული რეგლამენტის მე-5 თავის 26-30-ე მუხლებით. ქართულ რეალობასთან მიმართებით, სამწუხაროდ,

17 იქვე. მუხლი 14.

ეროვნული ბანკისა და ზოგადი საკანონმდებლო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში საქართველოში ხსენებულ საკითხს ვერ ვხვდებით. საკითხი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეორგანიზაციაზე საქართველოში რეგულირებულია სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის ნორმებით და არა სპეციალური ნორმების სისტემით, როგორც ამას ალბანეთის შემთხვევაში აქვს ადგილი.

ალბანეთის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დახასიათებისას მის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ლიცენზირების აბსოლუტურად სისტემატიზირებული სამართლებრივი ჩარჩო ე.წ. რეგლამენტი, რომელიც მთლიანად მოიცავს ყველა არსებით საკითხს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ხოლო სუსტ მხარედ უნდა მივიჩნიოთ მომხმარებლების უფლებების დაცვა, კაპიტალის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და საჭირო ფინანსური უნარების ნაკლებობა ბიზნესის დასაწყებად და განვითარებისთვის. ამას ემატება ალბანეთში ბიზნესის რეგისტრაციისა და დაარსების პროცედურების გამარტივების აუცილებლობაც.¹⁸

მცირე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ალბანეთში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ინტეგრირებულია ევროკავშირის ზოგადსაკანონმდებლო პრუდენციული რეგულირებისათვის დამახასიათებელ ნორმებთან და სტანდარტებთან, რომლებსაც, სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ განვითარებად ღონეზე ვხვდებით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი პორტუგალიაში

„ის, რომ ასეთ აბსტრაქტულ წესებს რეგულარულად იცავენ ცხოვრებაში, არ ნიშნავს, რომ ინდივიდმა, რომელიც მათ იცავს, ისინი იცის და შეუძლია ისინი სხვასაც აცნობოს. აბსტრაგირება ხდება ყოველთვის, როცა ინდივიდი ერთნაირად რეაგირებს ვითარებებზე, რომლებსაც მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელი თვისება აერთიანებს. ამ თვალსაზრისით ადამიანები, ზოგადად ბევრად უფრო ადრე იწყებენ აბსტრაქტული წესების დაცვას, ვიდრე მათ ჩამოყალიბებას შეძლებენ“.¹⁹
ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი

სრულიად სხვა სისტემური და მოცულობითია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი პორტუგალიის შემთხვევაში. პორტუგალია ევროპული თანამეგობრობის, ამჟამად კი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა ჯერ კიდევ 1986 წლის 1-ლი იანვრიდან. მისი ფინანსური და საბანკო სისტემა ითვლება ევროპასა და მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ტრადიციისა და ისტორიის მქონედ. პორტუგალიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ყველა ძირითად სამართლებრივ ნორმატივს კანონის საფუძველზე განსაზღვრავს პორტუგალიის ეროვნული ბანკი.²⁰ თუმცა ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს 1992 წლის 31 დეკემბერს მიღებული N298/92 კანონი/

18 EMN Legislative Mapping Report – Albania / EUROPEAN MICROFINANCE NETWORK. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-albania>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

19 ფონ ჰაიეკი, ფ. ა., 2021. თავისუფლების კონსტიტუცია. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 229.

20 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მარეგულირებელი შესაბამისი ნორმატიული აქტები იხ. პორტუგალიის ეროვნული ბანკის ვებ. საიტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bportugal.pt/en/page/authorisations?mlid=2884>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

დეკრეტი „საერთო რეჟიმი საკრედიტო ორგანიზაციებისა და ფინანსური კომპანიებისათვის“. ხსენებული კანონი წარმოადგენს ერთიან სისტემატიზირებულ და კოდიფიცირებულ ნორმატიულ აქტს, რომლითაც განისაზღვრება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, როგორც საკრედიტო ინსტიტუტების სამართლებრივი სტატუსი და საქმიანობის ფარგლები.²¹

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პორტუგალიის კანონით No1315/2010 შეიქმნა მიკროკრედიტის პირველადი სამართლებრივი ბაზა ფინანსური კორპორაციების (sociedades Financeiras de MicroCrédito) განსაზღვრით. თავდაპირველად აღნიშნული არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები უზრუნველყოფდნენ მცირე ბიზნესისთვის ან პროფესიული პროექტებისთვის მხარდაჭერას, მათ მიერ მდგრადი სამუშაო ადგილების (განსაკუთრებით თვითდასაქმება) შექმნის კუთხით გასცემდნენ მცირე სესხებს. სესხები გაიცემოდა იმ მსესხებლებზე, რომლებსაც უჭირდათ ადგილზე 25 000 ევრომდე სესხები, ტრადიციული სასესხო რისკის პროფილის გამო.²²

მიზანშეწონილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დახასიათებამდე შევხვით თვით მიკროკრედიტის ცნებას, რომელსაც პორტუგალიის 2010 წლის 19 თებერვლის N12/2010 კანონი/დეკრეტი განსაზღვრავს, როგორც „მცირე დაფინანსებას, რომელიც მიეწოდება მოტივაციისა და გა-

ნვითარების უნარის მქონე ადამიანებს, უმუშევარ თუ მცირე მეწარმეებს საკუთარი საქმიანობის გასააქტიურებლად“.²³

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პირველადი სამართლებრივი განმარტება მოცემულია ამავე კანონის 1-ელ მუხლში, რომლითაც „მიკროსაფინანსო კომპანიები არიან ფინანსური კომპანიები, რომელთა მიზანია ფიზიკური პირებისა და კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის განსავითარებლად საკრედიტო ოპერაციების მცირე ოდენობით უზრუნველყოფა, მსესხებლების კონსულტაცია და შესაბამისი პროექტების მონიტორინგი“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიკროსესხის გამოყენების მიზნობრიობის სამართლებრივი კონტროლის მექანიზმიც, რომელიც ამავე კანონის მე-2 მუხლითაა განსაზღვრული.

კერძოდ, „მიკროსაფინანსო ინსტიტუტების დაფინანსება არ შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა მიზნისთვის, გარდა იმისა, რისთვისაც იყო გათვალისწინებული. მიკროკრედიტით დაფინანსების კომპანიები უნდა აკონტროლებდნენ სესხების გამოყენებას იმ მიზნის გათვალისწინებით, რისთვისაც ისინი გაიცა“.²⁴

პორტუგალიის 1992 წლის 31 დეკემბერს მიღებული N298/92 კანონი/დეკრეტი „საერთო რეჟიმი საკრედიტო ორგანიზაციებისა და ფინანსური კომპანიებისათვის“ კანონის მე-6 მუხლი ფინანსური კომპანიების სახეებს შორის ასახელებს „მიკროსაფინანსო ფინანსურ კომპანიას“,

21 პორტუგალიის კანონი/დეკრეტი საერთო რეჟიმი საკრედიტო ორგანიზაციებისა და ფინანსური კომპანიებისათვის (31.12.1992). კანონის ტექსტი იხ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bportugal.pt/en/page/credit-institution>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

22 EMN Legislative Mapping Report – Albania / EUROPEAN MICROFINANCE NETWORK. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-albania>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

23 Decreto-Lei nº 12/2010, de 19 de Fevereiro. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bportugal.pt/sites/default/files/anexos/legislacoes/dl12ano2010.PDF>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

24 იქვე. მუხლი 2 (დაფინანსების განაცხადი).

რომელიც კანონმდებლობის დონეზე წარმოადგენს სწორედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას.*

რაც შეეხება უშუალოდ „მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის“ სამართლებრივ სტატუსს, მას აკონკრეტებს ასევე ხსენებული კანონის 174-ე მუხლი, რომლითაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე, როგორც ფინანსურ კომპანიაზე, ვრცელდება კანონის მე-2 განყოფილება და მე-14, მე-16, 22-ე და 23-ე მუხლების დანაწესები. მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის საქმიანობის კანონისმიერ საფუძველზე ამახვილებს ყურადღებას კანონის მე-7 მუხლი, რომლითაც ფინანსურ კომპანიებს შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ ის ოპერაციები, რომლებიც ნებადართულია სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ მათ საქმიანობას.

მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელია ასევე ხსენებული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლითაც სწორედ ფინანსურ კომპანიას შეუძლია საქმიანობის ისეთი სახის განხორციელება, როგორცაა მიკროსესხების გაცემა.

კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი კი სწორედ მიკროსაფინანსო ფინანსურ კომპანიას აღიარებს იმ კვალიფიციურ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია მიკროსაფინანსო საქმიანობის წარმოება.

იმისათვის, რომ პორტუგალიაში იურიდიულმა პირმა მიიღოს „მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის“ სამართლებრივი სტატუსი, იგი კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე უნდა აკმაყოფილებდეს საკმაოდ ვრცელ ნორმატიულ მოთხოვნებს, რომელთაგან გამოვყოფდით შემდეგს:

რეგისტრირებული უნდა იყოს პორტუგალიის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ფორმით – სააქციო საზოგადოების სახით და გააჩნდეს რისკების იდენტიფიცირების, მართვის, კონტროლის ეფექტური სისტემა, ჰქონდეს ანაზღაურების პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს და შეესაბამება მისი საქმიანობისას გონივრული რისკის მართვას.

პორტუგალიაში იურიდიული პირის მიერ „მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის“ სტატუსის მისაღებად დადგენილია ასევე მისი საწესდებო კაპიტალის ოდენობის მხრივ გარკვეული მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნები განსაზღვრულია პორტუგალიის ეროვნული ბანკის 1994 წლის 09 თებერვლის N O95/94 დადგენილებით, რომელიც შეადგენს 1 000 000 ევროს.*

საკმაოდ ვრცელი და სისტემურია ის ნორმატიული მოთხოვნები და ჩამონათვალი, რომლებიც მიკროსაფინანსო ფინანსურმა კომპანიამ უნდა წარადგინოს პორტუგალიის ეროვნულ ბანკში, რათა მიიღოს სასურველი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზია.

აღნიშნული დოკუმენტებისა და პროცედურების ჩამონათვალი განსაზღვრულია პორტუგალიის 1992 წლის 31 დეკემბერს მიღებული N298/92 კანონი/დეკრეტის „საერთო რეჟიმი საკრედიტო ორგანიზაციებისა და ფინანსური კომპანიებისათვის“ კანონის მე-17 მუხლით.

კერძოდ, ამ მუხლის შესაბამისი დანართის/კითხვარის შევსების გარდა, მსურველმა პორტუგალიის ეროვნულ ბანკს განსახილველად უნდა წარუდგინოს საკმაოდ ვრცელი დოკუმენტებისა და ინფო-

* ხსენებული ცვლილება კანონში შესულია 2014 წლიდან. Redação introduzida pelo Decreto-Lei n.º 157/2014.

** ცვლილება პორტუგალიის ეროვნული ბანკის 1994 წლის 09 თებერვლის N O95/94 დადგენილებაში ძალაში შევიდა 2013 წლის 15 ნოემბრის N335 დადგენილებით.

რმაციის ჩამონათვალი, რომლისგანაც შეიძლება გამოვარჩიოთ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებული ისეთი სახის აუცილებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, როგორებიცაა: იურიდიული პირის, როგორც მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის წესდების პროექტი (მისაღები კორპორატიული მიზნის მითითებით, შემოთავაზებული დაწესებულების ტიპის გათვალისწინებით, კანონით ნებადართული საქმიანობის სახეების ჩამონათვალით), დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საწესდებო კაპიტალი არ არის კანონით დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები (1 000 000 ევროს შევსების დოკუმენტი), ინფორმაცია იურიდიული პირის სამომავლო საქმიანობის შესახებ (სამი წლის ბიზნეს და სტრატეგიული გეგმის სახით, კონკურენტული პოზიციის ანალიზის ჩათვლით, ბაზარზე არსებული ინსტიტუტების, ასევე ბაზრის/მიზნის აღწერასა და დახასიათებას), იურიდიული პირის მიერ გამოსაყენებელი კომპიუტერული სისტემების – IT რესურსების მოთხოვნებთან შესაბამისობა, გასაწევი მომსახურების მოსაკრებლებისა და საკომისიოების სტრუქტურა და იურიდიული პირის მიერ კლიენტებისა და მათი წარმომადგენლების მიღების, იდენტიფიცირებისა და მომსახურების შესახებ პოლიტიკა და პროცედურები (კლიენტების სახსრების წარმოშობის დადგენის, როგორც საქმიანი ურთიერთობის ნაწილი ან შესრულებისას ერთჯერადი ოპერაციებისას, ოპერაციებისა და კლიენტების იდენტიფიკაციის პროცედურების აღწერა, ბენეფიციარი მფლობელების დადგენის ჩათვლით).²⁵

როგორც დახასიათებიდან აშკარად ჩანს, სარეგისტრაციო დოკუმენტებისა და აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვა-

ლი იმდენად ვრცელია, რომ იგი აშკარად აღემატება ალბანეთსა და საქართველოში დადგენილ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის აუცილებელ ჩამონათვალს.

შედარებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის №58/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლით (სარეგისტრაციო მოთხოვნები), საქართველოში დაინტერესებული განმცხადებელი იურიდიული პირი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მისაღებად ეროვნულ ბანკს წარუდგენს მხოლოდ პორტუგალიისაგან განსხვავებით საკმაოდ მცირე სახის ინფორმაციასა და დოკუმენტებს.

ამდენად მარტივი შედარებითაც აშკარაა, თუ რამდენად მოცულობითი და ამომწურავია პორტუგალიის კანონმდებლობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზიის მისაღებად დადგენილი, წარსადგენად აუცილებელი ინფორმაციისა და დოკუმენტების მასშტაბი. ქართულ რეალობასთან შედარებით საქართველოს ეროვნული ბანკი არ სთხოვს განმცხადებელს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციასა და საკითხებზე დოკუმენტებს, როგორებიცაა: ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, სახელმძღვანელო ფულის გათეთრების პრევენციის პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ, იურიდიული პირის მიერ კლიენტებისა და მათი წარმომადგენლების მიღების, იდენტიფიცირებისა და მომსახურების შესახებ პოლიტიკები და პროცედურები, იურიდიული პირის მიერ გამოსაყენებელი კომპიუტერული სისტემების – IT რესურსების შესახებ ინფორმაცია, გასაწევი მომსახურების მოსა-

25 რეგისტრაციის წესი იხ. პორტუგალიის ეროვნული ბანკის ვებ. საიტზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.bportugal.pt/en/page/authorisations?mlid=2884>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

კრებლებისა და საკომისიოების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

ფრიად საყურადღებოა პორტუგალიაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდაციის სამართლებრივი საკითხებიც. აღნიშნულ საკითხს ეხება პორტუგალიის 1992 წლის 31 დეკემბრის N298/92 ხსენებული კანონის 145/M-145/H-ე მუხლები. ხოლო კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტით ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზიის ჩამორთმევა თავისთავად იწვევს მიკროსაფინანსო ფინანსური კომპანიის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას. თუმცა ლიკვიდაციის ძირითადი პროცედურა განსაზღვრულია პორტუგალიის „კომერციული კომპანიების შესახებ კოდექსით“,²⁶ კოდექსის მე-13-თავის 146-ე, 165-ე მუხლებით.

ხსენებული კოდექსის 146-ე მუხლით განსაზღვრული საერთო წესებით იურიდიული პირის ლიკვიდაციის გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით იღებენ მისი დამფუძნებლები. ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა კომპანიამ თავის სახელწოდებას უნდა დაამატოს და დადგენილი წესით დაარეგისტრიროს აღნიშნული შემდეგი დასახელება – „კომპანია ლიკვიდაციაში“ ან „ლიკვიდაციაში“ (კოდექსის 146-ე მუხლის 1-3 პუნქტები). ამასთან კოდექსის 148-ე მუხლით ლიკვიდირებული კომპანიის მთელი კაპიტალი, აქტივები და ვალდებულებები შეიძლება გადაეცეს ერთ ან რამდენიმე პარტნიორს წესდების ან პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაღდი ანგარიშსწორებით, თუ გადაცემას წინ უძღვის წერილობითი თანხმობა კომპანიის ყველა კრედიტორისგან. ფრიად სა-

ყურადღებოა კოდექსის 150-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების სავალდებულო ვადაც. კოდექსის ხსენებული მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტით ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს და აქტივების განაწილება დამტკიცდეს კომპანიის ლიკვიდირებულად მიჩნევის დღიდან ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად წესდებაში შეთანხმებული უფრო მოკლე პერიოდისა ან პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა. ამასთან ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ პარტნიორის გადაწყვეტილებით და მხოლოდ არა უმეტეს ერთი წლის ვადით (ამავე მუხლის მე-2 პუნქტი).

მნიშვნელოვანია იმ სუბიექტის დახასიათებაც, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის, ლიკვიდაციის პროცესი. ასეთად კი კოდექსის 151-ე მუხლი მიიჩნევს იურიდიული პირის აღმასრულებელი ორგანოს წევრებს (გამგეობის წევრები). ხოლო თუკი კომპანიაში არ დაინიშნა ლიკვიდატორი, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ან მის რომელიმე პარტნიორს, ან კრედიტორს შეუძლია მიმართოს შესაბამისი რეესტრის ოფისს ადმინისტრაციული ლიკვიდატორის დანიშვნის თაობაზე, რის შემდეგაც განხორციელდება ლიკვიდაცია. კოდექსის 152-ე მუხლით სწორედ ლიკვიდატორები არიან პასუხისმგებელნი ლიკვიდაციის პროცესის წარმართვაზე, თუმცა ამ პროცესში მათ პარტნიორების მიერ მიღებული რეზოლუციის შემთხვევაში უფლება აქვთ: დროებით გააგრძელონ კომპანიის წინა საქმიანობა, გააფორმონ ნებისმიერი სესხი, რომელიც აუცილებელია კომპანიის

26 კოდექსის ინგლისურენოვანი ტექსტი იხ. Commercial Company Act Republished by Decree-Law No. 76-A/2006, of 29 March and amended by Decree-Law No. 8/2007, of 17 January and Decree-Law No. 357-A/2007, of 31 October). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.cmvm.pt/en/Legislacao/LegislacaoComplementar/EmitentesOfertasInformcaoValoresMobiliarios/Pages/Commercial-Company-Act.aspx>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].

ეფექტური ლიკვიდაციისთვის, გააგრძელონ კომპანიის აქტივების გლობალური გასხვისება, გააგრძელონ საწარმოს ფართის გადაცემა.

კოდექსის 156-ე მუხლი განსაზღვრავს ლიკვიდაციაში მყოფი კომპანიის დარჩენილი აქტივების განაწილების წესსაც. შესაბამისად, აქტივები, რომლებიც რჩება კომპანიის კრედიტორების უფლებების დაკმაყოფილების ან ადეკვატური უზრუნველყოფის შემდეგ, შეიძლება განაწილდეს ნატურით, თუ ასეთი დებულება გათვალისწინებულია წესდებაში ან, თუ პარტნიორები ერთხმად შეთანხმდებიან ასეთ ქმედებებზე. ამასთან დარჩენილი აქტივები ენიჭება, პირველ რიგში, პარტნიორებს რეალურად ჩადებული თანხის ანაზღაურებისთვის. ეს თანხა არის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება თითოეულ პარტნიორს, მიუხედავად იმისა, ამას იურიდიული პირის წესდება აღწერს თუ არა. ხოლო, თუ სრული ანაზღაურება შეუძლებელია, დარჩენილი აქტივები გადანაწილდება პარტნიორებზე ისე, რომ ნებისმიერი ზარალი გადანაწილდეს პარტნიორებს შორის კომპანიის ზარალის წილის პროპორციულად. ამ მიზნით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული პარტნიორის მიერ დაკისრებული საწყისი კაპიტალის ოდენობა. თუ პარტნიორებისთვის სრული ანაზღაურების შემდეგ აქტივები რჩება, ისინი უნდა განაწილდეს იმავე პროპორციით, როგორც გამოყენებული მოგების გასანაწილებლად (კოდექსის 156-ე მუხლის 1-4 პუნქტი).

ისევე, როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაში, პორტუგალიაშიც, იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ლიკვიდატორის მიერ დგება საბოლოო ანგარიში კოდექსის 157-ე მუხლის მოთხოვნებით, რომლითაც იგი უნდა შეიცავდეს სრულ ანგარიშს ლიკვიდაციის პროცესის შესახებ და გეგმას, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს დარჩენილი აქტივები. ამასთან საბო-

ლოო ანგარიშები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ აღწერდეს მიმდებარე მიერ განხორციელებული ლიკვიდაციის ოპერაციების შედეგებს და განაწილების სქემას. შესაბამისად საბოლოო ანგარიშები ლიკვიდატორების მიერ უნდა წარედგინოს პარტნიორებს დასამტკიცებლად (კოდექსის ხსენებული 157-ე მუხლის 1-4 პუნქტი). ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისას კი ლიკვიდატორები კოდექსის 160-ე მუხლის საფუძველზე მიმართავენ კომერციულ რეესტრს და მოითხოვენ სალიკვიდაციო წარმოების დახურვის რეგისტრაციას.

საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესს პორტუგალიაში ისეთი სისტემური სახით არ აწესრიგებს მისი პრუდენციული ზედამხედველი ორგანო – ეროვნული ბანკი, როგორცაა ჩვენ საქართველოში ვხვდებით.

კერძოდ, საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციის წესი ცალკე სისტემური ნორმების სახით განსაზღვრულია 2018 წლის 5 აპრილის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №59/04 ბრძანებით დამტკიცებული “მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის” საფუძველზე.

აღბათ შეუძლებელი და წარმოუგენელიცაა ერთი სტატიის ფარგლებში ევროკავშირის ეკონომიკურად და სამართლებრივად განვითარების მაღალ დონეზე მყოფი ქვეყნის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დახასიათება, მისი ყველა დადებითი და უარყოფითი მხარის ჩვენება, როგორც პორტუგალია.

თუმცა მცირე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პორტუგალიის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი ისე პირდაპირ და სისტემურად არაა განსაზღვრული, როგორც ამას ჩვენ საქართველოში ვხედავთ, რადგან ქართულ რეალობაში სახეზეა ცალკე კანონი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის პროდუქციული რეგულირების ფარგლებში მიღებული მრავალი ნორმატიული აქტი.

დასკვნა

*„ფული ეს შეექვსე გრძნობაა, რომელიც იძლევა საშუალებას ისარგებლო დანარჩენი ხუთი გრძნობით“
სომერსეტ მოემი*

ჩვენ მიერ სტატიაში განხილული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი აზერბაიჯანში, ალბანეთში, პორტუგალიასა და საქართველოში გვაძლევს აშკარა სურათს იმისა, თუ რა ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია თითოეულ ქვეყანას მიკროდაკრედიტების განმანორციელებელი მთავარი სუბიექტის – მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის რეგულირებისას.

ხსენებული ქვეყნებისაგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი ნაკლებადაა განსაზღვრული აზერბაიჯანში, ხოლო ალბანეთსა და პორტუგალიაში ძირითადი აქცენტი კეთ-

დება მათი რეგისტრაციის პროცესსა და კაპიტალის, დაკრედიტების სხვა მექანიზმების რეგულირებაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას აზერბაიჯანისა და საქართველოსაგან განსხვავებით ალბანეთისა და პორტუგალიის ეროვნული ბანკები უთმობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მართვის ორგანოების ფორმირებისა და საქმიანობის, მათში დასაქმებული პირების პროფესიული და სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას და მათ მიმართ სისტემური სახის მოთხოვნების განსაზღვრას.

ვფიქრობთ, გამართლებული და საქართველოსათვის მისი მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებისათვის აშკარა შესაძლებლობა იქნება, თუკი შემოღებულ იქნება ის სტანდარტები და სისტემური მოთხოვნები, რომლებიც ალბანეთისა და პორტუგალიის ეროვნული ბანკების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადმინისტრატორებისა და ბენეფიციარების მიმართაა დადგენილი. ასევე გამართლებული იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცედურებში იმ გაზრდილი სტანდარტების დანერგვა, რომელთაც ადგილი აქვთ ალბანეთსა და პორტუგალიაში.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფონ ჰაიკი, ფ., ა., 2021. თავისუფლების კონსტიტუცია. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. Albania Research Project on Microfinance Sector Development The Final Report December 2016 Japan International Cooperation Agency Positive Planet Japan. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://openjicareport.>

Bibliography:

Used Literature:

1. See Albania Research Project on Microfinance Sector Development The Final Report December 2016 Japan International Cooperation Agency Positive Planet Japan. [Online] available at: <<https://openjicareport.jica.go.jp/pdf/12286316.pdf>> [Accessed 20 April 2023]. (in English)
2. Decreto-Lei nº 12/2010, de 19 de Fevereiro.

- jica.go.jp/pdf/12286316.pdf [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
- Decreto-Lei nº 12/2010, de 19 de Fevereiro. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bportugal.pt/en/page/authorisations?mlid=2884> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
 - EMN Legislative Mapping Report – Albania/EUROPEAN MICROFINANCE NETWORK . [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-albania> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
 - Hoxhaj, R., 2010. Regulation and supervision of microfinance in Albania. BEH – Business and Economic Horizons, 2 (2) pp. 75-81. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.researchgate.net/publication/45643855> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
 - Michaels, R., 2006. The Functional Method of Comparative Law // Oxford Handbook of Comparative Law / M. Reimann, R. Zimmermann (eds.). Oxford.
 - ВАН ХУК, М., 2013. СРАВНИТЕЛЬНОЕ ПРАВОВЕДЕНИЕ, МЕТОДОЛОГИЯ СРАВНИТЕЛЬНОГО ПРАВОВЕДЕНИЯ МЕТОДОЛОГИЯ СРАВНИТЕЛЬНО-ПРАВОВЫХ ИССЛЕДОВАНИЙ. Журнал ПРАВОВЕДЕНИЕ, 3.
 - Лушников, А.М., 2015. История методологии юридической науки Яргу. Ярославль.
 - Сырых, В. М., 2018. История и методология юридической науки: учебник. М.: Норма: ИНФРАМ.
 - [Online] available at: <https://www.bportugal.pt/en/page/authorisations?mlid=2884> [Accessed 20 April 2023]. (in English)
 - EMN Legislative Mapping Report – Albania/EUROPEAN MICROFINANCE NETWORK. [Online] available at: <https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-albania> [Accessed 20 April 2023]. (in English)
 - Hoxhaj, R., 2010. Regulation and supervision of microfinance in Albania. BEH – Business and Economic Horizons, 2 (2) pp. 75-81. <https://www.researchgate.net/publication/45643855> [Accessed 20 April 2023]. (in English)
 - Lushnikov, A.M., 2015. History of Methodology of Legal Science Yargu. Yaroslavl. (in Russian)
 - Michaels, R., 2006. The Functional Method of Comparative Law // Oxford Handbook of Comparative Law / M. Reimann, R. Zimmermann (eds.). Oxford. (in English)
 - Syrykh, V. M., 2018. History and Methodology of Legal Science: textbook. M.: Norma : ИНФРАМ.(in Russian)
 - Van Hoecke, M., 2013. COMPARATIVE LAW, METHODOLOGY OF COMPARATIVE LAW "METHODOLOGY OF COMPARATIVE LEGAL STUDIES". LAW JOURNAL, 3. (in Russian)
 - Von Hayek, f.a, "Constitution of Liberty". Tbilisi: 2021. Publishing House "University of Georgia Publishing House."(in Georgian)

ნორმატიული მასალა:

- Commercial Company Act Republished by Decree-Law No. 76-A/2006, of 29 March and amended by Decree-Law No. 8/2007, of 17 January and Decree-Law No. 357-A/2007, of 31 October). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.cmvm.pt/en/Legislacao/LegislacaoComplementar/EmitentesOfertasInformcaoValoresMobiliarios/Pages/Commercial-Company-Act.aspx> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
- REPUBLIC OF ALBANIA BANK OF ALBANIA SUPERVISORY COUNCIL DECISION No 01, dated 17. 01. 2013 ON THE APPROVAL OF

Normative Materials:

- Commercial Company Act Republished by Decree-Law No. 76-A/2006, of 29 March and amended by Decree-Law No. 8/2007, of 17 January and Decree-Law No. 357-A/2007, of 31 October). [Online] available at: <https://www.cmvm.pt/en/Legislacao/LegislacaoComplementar/EmitentesOfertasInformcaoValoresMobiliarios/Pages/Commercial-Company-Act.aspx> [Accessed 20 April 2023]. (in English)
2. DECISION OF THE CHAMBER OF CONTROL FOR THE FINANCIAL MARKETS OF THE REPUBLIC OF AZERBAIJAN 07.07.2017 Decision No. 14 "On Approval of "the Rules for Prudential Regulation of the Activities of Non-Bank Credit Organizations"; See legislative acts of Azerbaijan. [Online] available at: <https://e-qanun.az/>

- REGULATION "ON LICENSING AND ACTIVITY OF NON-BANK FINANCIAL INSTITUTIONS." [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bankofalbania.org/Supervision/Regulatory_Framework/Licensing_Regulations/> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
3. РЕШЕНИЕ ПАЛАТЫ КОНТРОЛЯ ЗА ФИНАНСОВЫМИ РЫНКАМИ АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ РЕСПУБЛИКИ 07.07.2017-г. Решение № 14 «Об утверждении «Правил пруденциального регулирования деятельности небанковских кредитных организаций» иб. აზერბაიჯანის საკანონმდებლო აქტები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://e-qanun.az/framework/36316>> [წვდომის თარიღი 20 აპრილი 2023].
 - <[framework/36316](https://www.bankofalbania.org/Supervision/Regulatory_Framework/36316)> [Accessed 20 April 2023]. (in Azeri)
 3. REPUBLIC OF ALBANIA BANK OF ALBANIA SUPERVISORY COUNCIL DECISION No 01, dated 17. 01. 2013 ON THE APPROVAL OF REGULATION "ON LICENSING AND ACTIVITY OF NON-BANK FINANCIAL INSTITUTIONS." (in English) [Online] available at: <https://www.bankofalbania.org/Supervision/Regulatory_Framework/Licensing_Regulations/> [Accessed 20 April 2023]. (in English)

References:

1. Van Hoecke, M., 2013. COMPARATIVE LAW, METHODOLOGY OF COMPARATIVE LAW "METHODOLOGY OF COMPARATIVE LEGAL STUDIES". LAW JOURNAL, 3. (in Russian)
2. *Ibid.* p. 127-128.
3. Van Hoecke, M., 2013. COMPARATIVE LAW, METHODOLOGY OF COMPARATIVE LAW, LAW JOURNAL, 3, p.127-128. (in Russian)
4. Lushnikov, A.M., 2015. History of Methodology of Legal Science Yargu. Yaroslavl: p. 68. (in Russian)
5. Van Hoecke, M., 2013. COMPARATIVE LAW, METHODOLOGY OF COMPARATIVE LAW. LAW JOURNAL, 3 (308), p. 146. (in Russian)
6. Syrykh, V. M., History and Methodology of Legal Science: textbook. M.: Norma, INFRAAM, 464, p. 339. (in Russian)
7. Von Haiek, F.A., 2021. Constitution of Liberty, Publishing house of University of Georgia, Tbilisi: p. 143. (in Georgian)
8. Law of Azerbaijan on the Non Banking credit organizations. [Online] available at: <<https://cis-legislation.com/document.fwx?rgn=30660>> [Accessed 20 April 2023]. (in English)
9. See the registry of non banking credit organisations of Azerbaijan. [Online] available at: <<https://www.cbar.az/page-196/non-bank-credit-institutions>> [Accessed 20 April 2023].
10. Decision of the Chamber of control on financial markets on Republic of Azerbaijan 07.07.2017. Decision N № 14 on the "Approval of Prudential rules of regulation of non bank credit organisations . See the legislative acts of Azerbaijan. [Online] available at: <<https://e-qanun.az/framework/36316>> [Accessed 20 April 2023]. (in Azeri)
11. Decision of the Chamber of control on financial markets on Republic of Azerbaijan 07.07.2017. Decision № 13 „On the approval of «rules of filing of application on the issuance of credits from non-bank credit organizations and permission to open branch offices, See legislative acts of Azerbaijan. [Online] available at: <<https://e-qanun.az/framework/36321>> [Accessed 20 April 2023]. (in Azeri)
12. Von, Haiek, F.A., 2021. Constitution of Liberty, Publishing house of University of Georgia, Tbilisi: p. 150. (in Georgian)
13. Albania Research Project on Microfinance Sector Development The Final Report December 2016 Japan International Cooperation Agency Positive Planet Japan. p. 7. [Online] available at: <<https://openjicareport.jica.go.jp/pdf/12286316.pdf>> [Accessed 20 April 2023]. (in English)
14. *Ibid.* p. 9-10.
15. *Ibid.* p. 10-11.

16. REPUBLIC OF ALBANIA BANK OF ALBANIA SUPERVISORY COUNCIL DECISION No 01, dated 17. 01. 2013 ON THE APPROVAL OF REGULATION "ON LICENSING AND ACTIVITY OF NON-BANK FINANCIAL INSTITUTIONS". [Online] available at: https://www.bankofalbania.org/Supervision/Regulatory_Framework/Licensing_Regulations/ [Accessed 20 April 2023]. (in English)
17. *Ibid.* Article 14.
18. EMN Legislative Mapping Report – Albania / EUROPEAN MICROFINANCE NETWORK. [Online] available at: <https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-albania> [Accessed 20 April 2023]. (in English)
19. Von Haiek, F. A., 2021. Constitution of Liberty, Publishing house of University of Georgia, Tbilisi: p. 229. (in Georgian)
20. Relevant normative acts regulating microfinance organizations see on webpage of National Bank of Portugal. [Online] available at: <https://www.bportugal.pt/en/page/authorisations?mlid=2884> [Accessed 20 April 2023]. (in English)
21. Portugal law/decreed on common regime for credit organizations and financial companies (31.12.1992). [Online] available at: <https://www.bportugal.pt/en/page/credit-institution> [Accessed 20 April 2023]. (in English)
22. EMN Legislative Mapping Report – Albania / EUROPEAN MICROFINANCE NETWORK. [Online] available at: <https://www.european-microfinance.org/publication/emn-legislative-mapping-report-albania> [Accessed 20 April 2023]. (in English)
23. Decreto-Lei nº 12/2010, de 19 de Fevereiro. [Online] available at: <https://www.bportugal.pt/sites/default/files/anexos/legislacoes/dl12ano2010.PDF> [Accessed 20 April 2023]. (in Portuguese)
24. *Ibid.* Article 2 (application on financing).
25. The procedure of registration on the website of National Bank of Portugal. [Online] available at: <https://www.bportugal.pt/en/page/authorisations?mlid=2884> [Accessed 20 April 2023]. (in English)
26. Commercial Company Act Republished by Decree-Law No. 76-A/2006, of 29 March and amended by Decree-Law No. 8/2007, of 17 January and Decree-Law No. 357-A/2007, of 31 October). [Online] available at: <https://www.cmvm.pt/en/Legislacao/LegislacaoComplementar/EmitentesOfertasInformacaoValores-Mobiliarios/Pages/Commercial-Company-Act.aspx> [Accessed 20 April 2023]. (in English)